პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 146 (4656)

1972 წ. 27 ივლისი, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე კიევიდან გვატყობინებს

# მახარაძელთა გარჯა მისაგებია

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

მძლეოსანთა შეჯიბრების მეოთხე დღეს 4×100 მეტრზე ესტაფეტაში დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს ჭაბუკთა კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მახარაძელი ბ. მექვაბიშვილი, თბილისელი თ. აჯრუვი, სოხუმელი გ. ლოზჩიი და თბილისელი დ. მელაძე. ბადრის მტყორცნელ ნ. ლაბაძის გამარჯვების შემდეგ კიევის ცენტრალურ სტადიონზე ამ ოთხეულის პატივსაცემად კიდევ ერთხელ ჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

საქართველოს გუნდის ყველა წევრმა უაღრესი სიზუსტით, დიდი სისწრაფით და შეუდარებელი სიმსუბუქით ირბინა. ყოველივე ამან საქართველოს მორბენლებს I ადგილი და ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი მოუტანა — 41,0. ეს მაჩვენებელი ჭაბუკთა საკავშირო რეკორდზე სულ 0,1 წამით ნაკლებია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თავის დროზე ეს რეკორდი დაამყარა სსრ კავშირის ნაკრებმა და არა რომელიმე რესპუბლიკის ან ქალაქის კოლექტივმა, ჩვენი სპორტსმენების მიღწევის ფასი გასაგები გახდება.

სიგრძეზე ხტომაში საქართველოს გუნდის წევრი გ. გუნჩინი მესამე იყო — 698 სმ.

საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ე. გაგუამ თქვა: „ესტაფეტაში გამარჯვება და ამ სპარტაკიადის სარბიელზე მოპოვებული სხვა მიღწევებიც მძლეოსანთა მთელი გუნდის, მათი მწვრთნელების ერთობლივი და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ესტაფეტის მონაწილენი ა. ანტონოვმა მოამზადა და მისი გარჯის ნაყოფი დავინახეთ კიდეც“...

არ შეიძლება არ გამოვყოთ მძლეოსანთა ჯგუფი, რომელიც რესპუბლიკის ნაკრებში მახარაძის ღირსებას იცავს. ესენი არიან: ვ. ხმელიძე, ლ. ბოლქვაძე, ზ. მექვაბიშვილი, ი. ვაშალომიძე, თ. ბატიეშვილი. როცა ნაკრებში ერთი რაიონიდან ხუთი სპორტსმენი გვყავს, ცხადი ხდება, რომ ამ რაიონში მძლეოსნობას დიდ პატივს სცემენ და, რაც მთავარია, კარგად მუშაობენ. ერთ-ერთი ასეთი საუკეთესო მწვრთნელია მახარაძეში გ. ერქომაიშვილი.

კიდევ ერთი დღე და მძლეოსნები ასპარეზობას დაამთავრებენ. ახლა კი, ოთხდღიანი შეჯიბრების შემდეგ, საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს უკრაინის კოლექტივი — 37575 ქულა. II ადგილზეა რსფსრ — 34057, III — საქართველო — 32660, IV — მოსკოვი — 31084, V — უზბეკეთი — 30016, VI — ლიტვა — 29790.

საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდმა მთელი შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა და ყველა მატჩი მოიგო, გარდა ერთისა (მოსკოველებთან ქულით წააგო). ამიტომ ყველა მოელოდა, რომ ჩვენები პირველს თუ არა, II ადგილს მაინც დაიკავებდნენ. და აი, ბოლო ტურში გუნდი დამარცხდა ლიდერთა ექვსეულის აუტსაიდერთან — ბელორუსიის ნაკრებთან — 1:6 (1 პარტია გადადებულია). ბელორუსიელებმა ფინალური ექვსეულის ოთხ გუნდთან მხოლოდ 9 ქულის მოპოვება შეძლეს, საქართველოს კოლექტივთან კი 6 ქულა აიღეს. წაგებაც არის და წაგებაც! ვფიქრობთ, ჩვენი მოჭადრაკეები ზედმეტად აალელვა იმ ამბავმა, რომ ჩემპიონობამდე სულ ერთი ნაბიჯი რჩებოდა და მღელვარებამ უარყოფითად იმოქმედა მათზე. ახლა ისინი პრიზიორთა ჯგუფშიც ვერ მოხვდნენ. მთავარი ფინალის დანარჩენ მატჩებში ჯერჯერობით ასეთი ანგარიშია: რსფსრ — მოსკოვი 3:3 (2 გადადებული), ლიტვა — უკრაინა 2:4 (2).

ამრიგად, ბოლო ტურის გადადებული პარტიების დამთავრების წინ ასეთი მდგომარეობაა: უკრაინა — 23 ქულა (2), მოსკოვი — 20 (2), ლიტვა — 19 (2), რსფსრ — 19 (2), საქართველო — 18 (1), ბელორუსია — 15 (1).

ჩვენი მოცურავეები კვლავ უხეიროდ გამოდიან. საკმარისია ითქვას, რომ მათ რესპუბლიკის გუნდისთვის ჯერჯერობით არც ერთი ქულა არ მოუტანიათ.

დამთავრდა მოფარიკავეთა ასპარეზობა. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა უკრაინის ნაკრებმა — 196 ქულა. საქართველოს კოლექტივი 56 ქულით VI ადგილზეა.

26 ივლისი (ტელეფონით).

# ოლიმპიური ტირაჟი

როგორც ცნობილია, 20 ივლისს მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-20 ტირაჟი. ეს ტირაჟი იღბლიანი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის „სპორტლოტოს“ მოყვარულებისთვის: ექვსმა მათგანმა სწორად გამოიცნო ხუთი ნომერი და თითოეული 2898 მანეთს მიიღებს. ოთხი ციფრი 180 კაცმა „იწინასწარმეტყველა“. 55 მანეთი — ასეთია „ოთხიანების“ ყოველი წარმომადგენლის მოგებული თანხა.

სარეკორდო გამოდგა იმ ბილეთების რაოდენობა, სადაც სწორად გადახაზული იყო სამი ნომერი — 4309. მოგება — 3 მანეთი თითოეულს.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ გაითვალისწინა „სპორტლოტოს“ მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმიის ინტერესება და გასაყიდად გამოუშვა „სპორტლოტოს“ ყოველთვიური ბილეთები. ეს ბილეთები ერთი თვის განმავლობაში გათამაშდება სამ ტირაჟად. განვლილ, მე-20 ტირაჟში 26 ყოველთვიურ ბილეთზე სწორად იყო გადახაზული 4 ნომერი, ხოლო 579 ბილეთზე — 3.

„სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში და საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან უკვე იყიდება „სპორტლოტოს“ ყოველთვიური ბილეთები, რომლებიც 22-ე, 23-ე და 24-ე ტირაჟებში გათამაშდება.

მორიგი, 21-ე ტირაჟი 30 ივლისს შედგება ვოლგოგრადში.

**ი. ლოპატკინი,**
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

# სპორტტექნიკურ კომისიაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკავშირო შეჯიბრებებში მომხდარ დარღვევათა საკითხი.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ჩემპიონატის 23 ივნისის მატჩი ბაქოში ადგილობრივ „ნეფთჩისა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის ჩაიშალა 75-ე წუთზე ელექტროგანათების დაზიანების გამო (ანგარიში არ იყო გახსნილი — 0:0).

იმის გამო, რომ ბაქოს სტადიონზე ელექტროდანადგართა ექსპლოატაციისას უხეში ტექნიკური დარღვევები ხდებოდა, ამასთან, ხეირიანი კონტროლიც არ იყო, სპორტტექნიკურმა კომისიამ დაადგინა ეს მატჩი გადათამაშდეს ნეიტრალურ მინდორზე. ადგილი და ვადები მოგვიანებით დადგინდება ფეხბურთის სამმართველოსთან შეთანხმებით.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სპორტულ ორგანიზაციათა და სტადიონების დირექციების პასუხისმგებლობა კალენდარული შეხვედრების ჩატარებისთვის, სპორტტექნიკურმა კომისიამ „სსრ კავშირის 1972 წლის პირველობისა და თასის გათამაშების დებულებაში ოსტატთა გუნდებისთვის“ შეიტანა ცვლილება, რომ, თუ სტადიონის დირექციამ ვერ უზრუნველყო მატჩის ნორმალური ჩატარება ტექნიკური მიზეზებით (ელექტროგანათების უწესივრობა, ძელის გატეხვა და ა. შ.), მინდვრის მეპატრონე გუნდს ჩაეთვლება წაგება, მიუხედავად იმ შედეგისა, რომელზეც თამაში შეწყდა.

კომისიამ საგანგებოდ განიხილა კიევის „დინამოს“ ფეხბურთელის ვ. შევჩენკოს საკითხი, თუმცა იგი სხდომაზე არ გამოცხადებულა. შევჩენკო დისკვალიფიცირებულია 1972 წლის ბოლომდე და პირობით — 3 წლით, ამასთან, ჩამოერთვას სპორტის ოსტატის წოდება. საბოლოო დადგენილება ვ. შევჩენკოს თაობაზე მიღებული იქნება მისი გამოცხადების შემდეგ.

დისციპლინის სისტემატური დარღვევისთვის დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელს დ. პაისს აეკრძალა ოსტატთა გუნდებში, აგრეთვე, რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში თამაში. 5-5 მატჩით მიეცათ დისკვალიფიკაცია ს. გრიგორიანს („არარატი“) და ს. ნიკულინს (მოსკოვის „დინამო“), ს. როჟკოვი („ყაირათი“) და რ. მენზელეევი (აშხაბადის „სტროიტელი“) დისკვალიფიცირებული არიან 3-3 მატჩით. სასტიკი საყვედური გამოეცხადათ ვ. დუდარენკოს (ცსკა), ი. სტეკოლნიკოვს („ნეფთჩი“) და ი. სევიდოვს (დონეცკის „შახტიორი“).

# მეშვიდე პარტია

### სპასკი — ფიშერი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კg5 e6 7. f4 ლb6 8. ლd2 ლ:b2 9. მb3 ლa3 10. კd3 კe7 11. 0—0 h6 12. კh4 მ:e4 13. მ:e4 კ:h4 14. f5 ef 15. კb5+ ab 16. მ:d6+ მფf8 17. მ:c8 მc6 18. მd6 ეd8 19. მ:b5 ლe7 20. ლf4 g6 21. a4 კg5 22. ლc4 კe3+ 23. მფh1 f4 24. g3 g5 25. ეae1 ლb4 26. ლ:b4 მ:b4 27. ეe2 მფg7 28. მa5 b6 29. მc4 მd5 30. მ:d6 კc5 31. მb7 ეc8 32. c4 მe3 33. ეf3 მ:c4 34. gf g4 35. ეd3 h5 36. h3 მa5 37. მ7d6 კ:d6 38. მ:d6 ეc1+ 39. მფg2 მc4 40. მe8+ მფg6. პარტია გადაიდო. სვლა ჩაიწერა სპასკიმ.

* * *

პირველად ამ მატჩში სპასკიმ თამაში მეფის პაიკით დაიწყო. ფიშერმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სიცილიური დაცვა აირჩია, ოღონდ არგენტინელი დიდოსტატის მ. ნაიდორფის გამომწვევი ვარიანტი. მსოფლიო ჩემპიონმა გამოწვევა მიიღო. მე-8 სვლაზე მან პაიკი შესწირა, ოთხი სვლის მერე — კიდევ ერთი პაიკი. პოზიცია უკიდურესობამდე დაიძაბა. სპასკიმ ცეცხლზე ნავთი დაასხა, როცა მე-14 სვლაზე მესამე პაიკი, ხოლო მე-15 სვლაზე ფიგურა შესწირა. ჩემპიონის იერიშმა მრისხანე სახე მიიღო.

სპასკიმ კომბინაციური თამაშით შავ მეფეს როქის უფლება წაართვა. ცენტრში დაყოვნებულ მეფეზე იერიშის გაგრძელება იყო საჭირო, მსოფლიო ჩემპიონმა კი მე-18 სვლით, პირიქით, ტემპი დაკარგა. ფიშერმა ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა. მან კუ კარგ უჯრაზე გადაიყვანა, გაამაგრა მეფის ფრთა, სადაც ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა, და ლაზიერების გაცვლით თამაში ხელსაყრელ ენდშპილში გადაიყვანა.

როგორც ჩანს, შემდგომში ფიშერმა უზუსტობანი დაუშვა. სპასკიმ მხედრების მანევრებით აქტიური კონტრთამაში განავითარა: „გამოაცოცხლდნენ“ მისი ეტლები და მხედარი.

ა ი, ა ს ე თ პ ო ზ ი ც ი ა შ ი

ფიშერი



სპასკი

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. ფიშერმა ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა, მაგრამ სპასკის, რომელმაც შეწყვეტილ პოზიციაში სვლა ჩაიწერა, სერიოზული კონტრთამაში აქვს. სპეციალისტების აზრით, პოზიცია დაახლოებით თანაბარია.

ეს პარტია გუშინ უნდა გაგრძელებულიყო.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 ამერიკელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

27 ივლისს მერვე პარტია შედგება.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

# ქუთაისელთა ფრე

25 ივლისს გაიმართა მეორე წრის პირველი ტურის კალენდარული შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები ფრუნზეში ეთამაშნენ ადგილობრივ „ალგას“ და ფრედ დაამთავრეს მატჩი — 1:1.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „პამირი“ (დუშანბე) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:2, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) 0:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 1:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „კრივბასი“ (კრივოი როგი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 2:2. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 6:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი“ | 20 | 14 | 4 | 2 | 33—14 | 32 |
| „ჩერნომორ.“ | 20 | 11 | 7 | 2 | 37—15 | 29 |
| „ზვეზდა“ | 20 | 10 | 6 | 4 | 25—17 | 26 |
| „შახტ.“ (დ.) | 20 | 8 | 9 | 3 | 27—12 | 25 |
| „ტორპედო“ | 20 | 11 | 3 | 6 | 29—15 | 25 |
| „პამირი“ | 20 | 9 | 5 | 6 | 27—26 | 23 |
| „შინიკი“ | 19 | 9 | 4 | 6 | 18—15 | 22 |
| „შახტ.“ (ყ.) | 20 | 6 | 9 | 5 | 20—17 | 21 |
| „ალგა“ | 20 | 6 | 8 | 6 | 19—16 | 20 |
| „მეტალის.“ | 20 | 6 | 8 | 6 | 21—20 | 20 |
| „სპარტაკი“ | 20 | 7 | 6 | 7 | 23—25 | 20 |
| „კრ. სოვეტ.“ | 20 | 4 | 12 | 4 | 18—21 | 20 |
| „ავტომობ.“ | 20 | 4 | 9 | 7 | 15—20 | 17 |
| „სტროიტ.“ | 20 | 6 | 5 | 9 | 20—34 | 17 |
| „მეტალურ.“ | 20 | 5 | 5 | 10 | 26—27 | 15 |
| „ნისტრუ“ | 20 | 5 | 5 | 10 | 19—26 | 15 |
| „დინამო“ | 19 | 3 | 8 | 8 | 12—22 | 14 |
| „ტექსტილ.“ | 20 | 4 | 6 | 10 | 17—32 | 14 |
| „კრივბასი“ | 20 | 3 | 7 | 10 | 26—40 | 13 |
| „ურალმაში“ | 20 | 2 | 6 | 12 | 17—35 | 10 |

# ზაბელინას ბედნიერი დღე

ტალინი, 26 ივლისი. „ძალიან სწრაფი გოგონაა. უკვე მეშინია მისი, — უთხრა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლის შესვენების დროს რაპირისტმა ა. ზაბელინამ თანაგუნდელებს — მოსკოვის დინამოელებს. — რაც მთავარია, ვერ გაიგებ საით უმიზნებს“.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ამას ამბობდა ახალგაზრდა მინსკელ სპარტაკელ ნ. კოზლენკოზე. ბრძოლა მართლაც ძალიან მწვავე იყო. ანგარიში თავიდან ყურადღებადქცეულმა ზაბელინამ წარმართა (1:0, 2:0, 3:0), მაგრამ კოზლენკომ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ფინიშზე მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის გამოცდილებამ თავისი გაიტანა. გაიმარჯვა ზაბელინამ.

ფინალში ზაბელინას ერთი წაგება ჰქონდა, მის უახლოეს მეტოქეებს — ოლიმპიურ ჩემპიონ გ. ბელოვას (მინსკი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ქალიშვილებს შორის ვ. ნიკონოვას (ყაზანი), მინსკელებს ნ. შაკოლინას და ლ. რუსაკს — 2-2.

ფინალში დაძაბული ბრძოლის ლოგიკური დასასრული იყო ბოლო შეხვედრა, როცა საფარიკაო ბილიკზე დადგნენ ზაბელინა და რუსაკი (შეიარაღებული ძალები). თუ რუსაკი, გაიმარჯვებდა, აუცილებელი ხდებოდა ოთხი სპორტსმენის ხელახალი შეხვედრები I ადგილისთვის (ზაბელინასა და რუსაკს მაშინ ბელოვა და შაკოლინაც შეუერთდებოდნენ). დაწინაურდა რუსაკი, მაგრამ შემდეგ ზაბელინამ ანგარიში გაათანაბრა. მერე მოსკოველი ინიციატივას დაეუფლა და მეექვსედ დაისაკუთრა ქვეყნის უძლიერესი რაპირისტი ქალის სახელი.

ვერცხლის ჯილდო ბელოვას ხვდა, ბრინჯაოსი კი შაკოლინას. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ბრძოლა კიკეთის მიდამოებში

სსრკ 50

## კარვების ქალაქი

თბილისიდან ავტობუსები სხვადასხვა დროს დაიძრნენ. წყნეთამდე ყველა დატვირთული მიდიოდა, აქ კი საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივებით გათვალისწინებული მარშგარბენი ჰქონდათ ჩასაბარებელი, გზას ფეხით აგრძელებდნენ. ფიზკულტურელები აღმართში მწკრივებით ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდნენ. რომელთაც ეს ვალი უკვე მოხდილი ჰქონდათ, ავტობუსებით მიდიოდნენ: ამხანაგებისთვის კარვები უნდა დაეხვედრებინათ.

მომავალი ბრძოლების სარდალს, სპორტკლუბ „ფეიქრის" ფიზკულტურის უფროს ინსტრუქტორს, გამოცდილ გიგა დვალს კარვების ქალაქის ჯასაშენებელი ადგილი და მომავალი სარბიელი კარგა ხანია შეერჩია. ახლა მოსულებს ეგებებოდნენ დროშებითა და ტრანსპარანტებით: „კეთილი იყოს „განთიადის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციების ტურისტული შეკრების მონაწილეთა მობრძანება!".

დვალი ყველა კოლექტივს „ქალაქის განაშენიანების" პროექტით გათვალისწინებულ ადგილს უჩვენებდა. კარვების ქალაქიც თანდათან იზრდებოდა.

ერთი ხელის დაკვრით არაფერი გაკეთებულა. იმ საღამოს არც კარვების ქალაქის მშენებლობა დამთავრებულა. ახალსახლობა პირველად მათ იზეიმეს, ვისაც მეორე დღისთვის — შაბათისთვის განეზრახა მთლ „ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. თავიდანვე ასე იყო დაგეგმილი: განთიადელ ტურისტთა შეჯიბრება კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად უნდა გამოეყენებინათ.

ტყეში ფუსფუსი არ წყდებოდა. ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა. ვინ კარვებს შლიდა, ვინ ცეცხლისთვის ფიჩხს აგროვებდა, „მზარეულები" გემრიელ ვახშამს ამზადებდნენ: შტაბის წევრებს, მომავალი შეჯიბრების მთავარი მსაჯის დვალის მითითებით, ქალაქის გაფორმება და განათება ებარათ.

შებინდდა. კარვების პირველი რიგი ზინადართა მისაღებად მზად იყო. ტყე ელექტრონათურებმა გააჩირაღდნა, სადღაც მუსიკა გაისმა, ვიღაცამ გიტარა ააჟღერა...

მერე ყველაფერი მიწყნარდა. ქალაქი ღრმა ძილს მიეცა.

## ბანაკი ადრე იღვიძებს

ინათა. სარდალი და მისი მოადგილეები — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბ. კოვალიოვი და ო. წიკლაური „ფრონტის ხაზის" — მომავალი სარბიელის მოწყობას შეუდგნენ: ნორმატივების ჩამბარებლებისთვის ბირთვის კვრისა და ხელყუმბარის ტყორცნის სექტორები შემოფარგლეს. საბანაკო პირობებში ამ სახეობებში ნორმატივების ჩაბარება სპეციალურ ნაგებობებს როდი საჭიროებს. ვისაც შეუძლია, ხელყუმბარას სტადიონზე და ველზე ერთნაირად ტყორცნის. კარგად მომზადებულ, ძლიერ ფიზკულტურელებს ბირთვის კვრა ვერ აშინებთ. ცურვა, 100 მეტრზე რბენა, ძალოსნობა, ტანვარჯიში კი სულ სხვაა, ამიტომ ამ სახეობებში ნორმატივები კეთილმოწყობილ ბაზებზე ბარდება.

საასპარეზოდ შესანიშნავი ადგილი — ხასხასა ბალახით დაფარული მინდორი შეარჩიეს.

მსაჯთა კოლეგიის წევრთა ნაწილს საკვირაოდ ტურისტულ მრავალჭიდში შეჯიბრებისთვის ადგილების შერჩევა და მოწყობა დაევალა. ესტაფეტისთვის 2100-მეტრიანი წრე შეარჩიეს და ექვს ეტაპად დაჰყვეს (4 ეტაპი ვაჟებს, ორი კი ქალებს უნდა გაერბინათ ზურგჩანთით), ფინიშთან კარვების გასაშლელი კვადრატი მონიშნეს, მახლობლად — ცეცხლის დასანთები და წყლის ასადუღებელი ველი.

ქალაქი იზრდებოდა და იზრდებოდა: რომელმა კოლექტივმაც პარასკევს საღამოს ამოსვლა ვერ მოახერხა, კარვების ქალაქს შაბათ დილით ეწვია. მოვიდნენ საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მუშაკები. როგორც ყველა დიდ ქალაქში, ტურისტთა დედაქალაქშიც გამოჩნდნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები...

## დამარცხებული სიბერე

12 საათია. ქალაქის ყველა მცხოვრები, რომელთაც კომპლექსსა და ტურისტულ მრავალჭიდში ორდღიანი ბრძოლა ელით, ტურნირის საზეიმო გახსნისთვის მოეწყო. კომანდორი ე. თვალჭრელიძე პატაკს აბარებს „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ა. გიორგობიანს ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის კოლექტივების მზადყოფნის შესახებ. მისალმება, კეთილი სურვილები... შარშანდელ ტურისტულ მრავალჭიდში გამარჯვებულნი შეჯიბრების ალამს აღმართავენ. ტყეში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა.

— ჯგუფებო, „ფრონტებისკენ" ნაბიჯით იარ! — გაისმა დვალის განკარგულება. — უფროსო მსაჯებო, შეუდექით მოვალეობის შესრულებას!

ხელყუმბარებით, ბირთვებით, ალმებითა და ოქმებით დატვირთული მსაჯები ჯგუფებთან ერთად სარბიელისკენ გაეშურნენ.

ბირთვის კვრის სექტორთან 253 ფიზკულტურელმა მოიყარა თავი, ხელყუმბარის ტყორცნაში ძალას 346 კაცი ცდიდა. მჯობნის მჯობნს რა გამოლევს! საუკეთესონი აქაც იყვნენ. ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში ყველაზე კარგი შედეგი ხის დამმუშავებელი კომბინატის თანამშრომელმა ს. ბოხუამ აჩვენა: 18 წლის ჭაბუკმა ბირთვი 14,15 მეტრზე ჰკრა. ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის წარმომადგენელ თ. ბასილაშვილს — 10,50 მ. 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომელი ე. მოდებაძე მას 30 სანტიმეტრით ჩამორჩა.

ხელყუმბარის ტყორცნაში კარვების ქალაქის რეკორდსმენი მაუდ-კამვოლის კომბინატის თანამშრომელი ე. გიონაშვილი გახდა — 58 მ. მას 2 მეტრით ჩამორჩა სამშენ მასალათა კომბინატის ზეინკალი ვ. სოზიაშვილი. ქალთა შორის კი გურგენიძეებმა ისახელეს თავი: ნაირას (სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი) ხელყუმბარა 40 მეტრზე დაეცა, მაყვალასი (1-ლი სამკერვალო) — 34 მეტრზე.

მაგრამ ამ დღეს ყველაზე მეტად კმაყოფილი თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მთავარი ტექნოლოგის მოადგილე, 59 წლის ბ. ნანიი იყო. მისი ასაკის ადამიანებისთვის კომპლექსის ნორმატივები ბირთვის კვრასა და ხელყუმბარის ტყორცნას არ ითვალისწინებს, ნანიის კი ძალის გამოცდა სურდა. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თანამშრომელს ი. ჯიშკარიანსა და ფეხსაცმლის № 1 გაერთიანება „ისნის" ფიზკულტურის ინსტრუქტორს ვ. ხედევანიშვილს, რომლებიც დაწყებულ ბრძოლებს ხელმძღვანელობდნენ, თახატოლის გაწბილება არ უნდოდათ და მისთვის „ცალკე ფრონტი" გახსნეს.

ნანიიმ ადგილიდან სიგრძეზე ხტომასა და მიწიდან ხელებზე აძლაში ნორმატივები ბრწყინვალედ ჩააბარა: 170 სანტიმეტრის მაგიერ იგი 196 სანტიმეტრზე გადახტა, ხელებზე კი რვის მაგიერ თორმეტჯერ აიზიდა.

ნანიის მაგალითმა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს რადიოს უხუცესი კორესპონდენტი, 60 წლის კ. ნუშტაევი გაათამამა. ახლა მან სცადა ადგილიდან ხტომაში ბედი და წარმატებაც მოიპოვა.

## შტაბები გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადებიან

ველრე ველზე ნორმატივების ჩაბარება გრძელდებოდა, გუნდების შტაბებში ტურისტულ მრავალჭიდში გენერალური ბრძოლის მოგების გეგმები მუშავდებოდა. მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" შტაბის საქმიანობას კომბინატის დირექტორის მოადგილე, სპორტკლუბ „ივერიის" გამგეობის თავმჯდომარე გ. ხიტურიძე ხელმძღვანელობდა. კამვოლელთა მთავარი მეტოქის — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის შტაბს ხათავეში ედგა ამ კოლექტივის სპორტკლუბ „ფეიქრის" გამგეობის თავმჯდომარე გ. გიორგობიანი... ბჭობდა ყველა, ვისაც საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულისთვის დაწესებული გარდამავალი თასის დასაკუთრება სურდა.

მაგრამ ყველას ერთი დარდი აწუხებდა: გარკვევით არავინ იცოდა, საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში რამდენი ფიზკულტურული კოლექტივი ჩაებმებოდა. განაცხადები 40 საწარმომ წარმოადგინა, ბევრი უკვე კარვების ქალაქში ცხოვრობდა, მაგრამ სტარტამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოსვლაც ხომ შეიძლებოდა...

ნორმატივების ჩაბარება დამთავრდა. ისადილეს, იმხიარულეს, ბურთი ითამაშეს, ყვავილები დაკრიფეს. ქალაქში სარბიელი კორესპონდენტებს დარჩათ: ფირზე იწერებოდა შთაბეჭდილებები, სურვილები, უბის წიგნაკებში — ნანახი და განცდილი, პირველი დღის შედეგები. ნასადილევს ქალაქი დასვენებას მიეცა.

საღამოს ყველა უბანში — ყველა კოლექტივის ტერიტორიაზე კულტურის საათი მოეწყო. სად მღეროდნენ, სად ცეკვავდნენ, სად ლექსების თქმით, მხატვრული კითხვით ერთობოდნენ. ბურთიც ბევრგან გაგორდა და ბადმინტონის ვოლანიც ბევრგან შეფრთხიალდა. ჭადრაკის მოყვარულებმა სპასკი — ფიშერის მატჩზე ლაპარაკით გული რომ იჯერეს, დაფებს თვითონ მიუსხდნენ. უფრო წინდახედულებმა ტყეს მიაშურეს — მეორე დღისთვის ფიჩხის მომზადება დაიწყეს: ვინ იცის, ღამით იქნებ გაავდრდეს და ხვალ სველი ფიჩხით ცეცხლს როგორღა დავანთებთო. მერე მეტოქეთა ამ სამზადისის შესახებ მზვერავებმა თავიანთ გუნდებსაც შეატყობინეს და, როცა დაბინდდა, ბანაკში იმდენი ფიჩხი აღმოჩნდა, კარგა მოზრდილი საერთო კოცონიც გააჩაღეს.

## ყველაზე სწრაფი, საუკეთესო მშენებლები...

გადამწყვეტი ბრძოლების დღეც დადგა. ვიდრე ტურისტულ ესტაფეტას სტარტი მიეცემოდა, ორი ინტერვიუს მიღება მოვასწარით. გვაინტერესებდა ამგვარი ღონისძიებით მონაწილენი კმაყოფილი თუ იყვნენ.

ბირთვის მკვრელ ქალთა შორის გამარჯვებული, სპორტკლუბ „გამარჯვების" წევრი თინა ბასილაშვილი:

— მე რომ მკითხოთ, ტურიზმი აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალებაა. ორი დღით ქალაქგარეთ გასვლა და ბუნების წიაღში შეჯიბრების გამართვა გვახალისებს, საწარმოში დაბრუნებულებს ენერგიას გვიორკეცებს. კარგი იქნება ასეთი ღონისძიებები უფრო ხშირად ეწყობოდეს.

ჯაცებიდან არჩევანი ნანიიზე შევაჩერეთ. ბევრი ვეძებეთ. კარავში გვითხრეს: ხატვა უყვარს და სადმე განმარტოებული იქნებაო. მართლაც, კარვების ქალაქის უკან გორაკზე ასულიყო და ხატავდა.

— ქალაქის ამ ჩანახატს ქარხნის კედლის გაზეთისთვისაც გამოვიყენებთ. არა, ტურიზმს არაფერი შეედრება. საშუალო და უფროსი ასაკის ხალხისთვის პირდაპირ მისწრებაა!

... მსაჯთა კოლეგიამ წილისყრა დაამთავრა, გუნდებს სამკერდე ნომრები დაურიგა და რიგის მიხედვით სტარტისკენ იხმო.

გუნდები ტყის ვიწრო ბილიკზე წყვილ-წყვილად გაეშურნენ. პირველ ორ და მეოთხე-მეხუთე ეტაპებზე ესტაფეტა — ტურისტული ზურგჩანთა — ვაჟებს მიჰქონდათ, მესამეზე და მეექვსეზე — ქალებს. თავდაპირველად ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივი დაწინაურდა — 2100 მ 7 წუთსა და 51,8 წამში გაირბინა. მერე ამ შედეგს „ფეიქარმა" თითქმის წუთით აჯობა — 6.52,6. მაგრამ ესტაფეტაში წარმატება თურმე არც „ფეიქრის" ტურისტებს ეწერათ: დღის საუკეთესო შედეგი (5.24,0) კიროველებმა აჩვენეს.

ესტაფეტას კარვის გაშლაში შეჯიბრება მოჰყვა, კარვის გაშლის შემდეგ კი გუნდები ცეცხლის დასანთებად და წყლის ასადუღებლად გაეშურნენ. კარვის გაშლა გუნდის მხოლოდ ოთხ წევრს ევალებოდა, სხვა ორს — ცეცხლის დანთებისთვის უნდა ეზრუნა და კარვის გაშლის მერე დუეტებს ის კვარტეტებიც უერთდებოდნენ.

კარავი ყველაზე სწრაფად „ფეიქრის" ტურისტებმა გაშალეს — 1.15,5. ლიდერს — „გამარჯვებას" აბრეშუმსაქსოვი გაერთიანების ნაკრებმა (1.20,3) და სპორტკლუბ „განთიადის" პირველმა გუნდმაც (1.22,3) აჯობეს.

ბოლო სახეობაში მკერავებს ბადალი არ ჰყავდათ. მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ექვსეულმა ცეცხლის დანთებასა და წყლის ადუღებაში სარეკორდო დრო (3.15,0) აჩვენა. ერთხანს ეს შედეგი ბევრს აეჭვებდა, მაგრამ, როცა 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის გუნდის შედეგს (4.56.4) გადახედეს, გაჩუმდნენ. III ადგილი „განთიადის" პირველმა კოლექტივმა მოიპოვა — 5.51,0.

## ნახვამდის, კიკეთო!

ტურისტული მრავალჭიდის შედეგები შეჯამდა. I ადგილი მიეკუთვნა „გამარჯვებას", რომლის წევრებმა გ. სტარჩიკმა, ნ. სნეგირიოვმა, ტ. იანვარაშვილმა, ვ. ლაბივინმა თ. ბასილაშვილმა და ლ. კუნდიროვამ ყველა ოპერაციისთვის 13 02,0 დახარჯეს. მათ გადაეცათ მთავარი პრიზი — გარდამავალი თასი. მომდევნო ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა — მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ტურისტებმა (13.33,4) და 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენებმა (13.54,7) ჯილდოები მიიღეს.

კიკეთის მიდამოებში ბრძოლები დამთავრდა. ასეთი აქტიური დასვენებით ნასიამოვნები დედაქალაქის საწარმოების 789 თანამშრომელი თბილისისკენ გაეშურა.

ო. ველაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

კიკეთი.

• • •

სურათებზე (მარცხნიდან): ვ. სოზიაშვილი ნორმატივს აბარებს ხელყუმბარის ტყორცნაში; კარავს შლიან სახეხი ჩარხების ქარხნის ტურისტები; ცეცხლის დანთება და წყლის ადუღებაც ოსტატობის მოითხოვს.

ავტორის ფოტოები.

# ხუთი ღირსების რაინდებთან

### საქართველოს „სპარტაკი" ჩემპიონია ● ქალაქებს შორის პირველია თბილისი ● გ. მელაძის წარმატება

თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები საკავშირო სარბიელზე ერთობ მოკრძალებულია. ამიტომაა, რომ მათი ყოველი გამარჯვება სპორტის მართლაც რაინდული სახეობის გულშემატკივართა კანონიერ სიხარულს იწვევს.

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს იუნიორთა პირად-გუნდური პირველობა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სამმაგი გამარჯვება იზეიმეს — მოიგეს როგორც პირადი, ისე გუნდური შეჯიბრება და ამასთან პირველები იყვნენ ქალაქებს შორისაც.

ყველაზე სასიხარულო ამ წარმატებაში ის გახლავთ, რომ გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ხუთჭიდის ცალკეული სახეობებიდან ოთხში გაიმარჯვეს: მათ ტოლი არ ჰყავდათ ცხენოსნობაში, ფარიკაობაში, სროლასა და ცურვაში (მძლეოსნურ კროსში ისინი III ადგილით დაკმაყოფილდნენ).

საბოლოოდ რესპუბლიკურ საბჭოებს შორის შეჯიბრებაში ჩვენებმა 13338 ქულა დააგროვეს და უახლოეს მეტოქეებს — უკრაინის წარმომადგენლებს 248 ქულით გაუსწრეს. III ადგილზე გავიდნენ სომხეთის სპორტსმენები — 12067 ქულა.

ქალაქებს შორის I ადგილზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისია — 13898 ქულა. II ადგილზე გავიდნენ კიეველები — 13506, III — ვოლგოგრადელები — 12456. მომდევნო ადგილებზე არიან ერევნელი (12067), ჟიტომირელი (11870) და ტაშკენტელი (11556) ხუთჭიდელები.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა და „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა თბილისელი გ. მელაძე — 4826 ქულა. II ადგილზეა აზერბაიჯანის წარმომადგენელი ი. კარპოვი — 4794, III — ნ. პოპოვი (უკრაინა) — 4731. ექვსეულში მოხვდა თბილისელი ი. კირილოვი (4666) — IV ადგილი. V ადგილზეა ხარკოველი ა. პანოვი (4619), VI — კიეველი ვ. ვოროპაევი — 4613.

• • •

მოსკოვში დამთავრდა პროფკავშირელ ხუთჭიდელთა საკავშირო პირველობა.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა სპარტაკელმა დ. სუშკოვმა — 4881 ქულა. II ადგილზეა დ. დრუჟინინი („ავანგარდი") — 4841, III — ი. კრასტინში („დაუგავა") — 4830.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „ტროჟაიმ" — 14238 ქულა. II ადგილზეა „სპარტაკი" — 14178, III — „დაუგავა" — 14077.

• • •

ივანოვოში გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო პირველობა. ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა ვ. კრეივენასმა (ლიტვის „დინამო") — 5014 ქულა. II ადგილზეა მოსკოვის დინამოელი მ. გალავტინი — 4981, III — მისი თანაგუნდელი ვ. მოსოლოვი — 4806.

გუნდური გამარჯვება იზეიმეს მოსკოვის დინამოელებმა — 13158 ქულა. II ადგილზე არიან მათი ყაზახი თანაკლუბელები — 13049, III — ლიტველი თანაკლუბელები — 12859.

## მიუნხენი-72

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან ლაითურელი ა. ორაგველიძე და ხობელი ა. კუდრიაშოვი.

● „ივერია“ (ხაშური) — „სულორი“ (ვანი) 0:2. მსაჯი ი. კუხიანიძე (ბათუმი).

ორივე ბურთი ნაჭყებიამ გაიტანა.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სამცხე“ (აწყური) 4:2. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

თბილისელთა შორის თავი გამოიჩინა სართანიამ, რომელმაც ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ისანი“ (თბილისი) 2:3. მსაჯი შ. სიჭინავა (გუდაუთა).

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ანგარიში გახსნა ზესტაფონელმა გლინიანოვმა, შესვენების შემდეგ კი ბაქრაძემ გაქვითა გოლი.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიეცა ზესტაფონელ ს. რობაქიძეს, ხოლო გორელი ო. რევაზიშვილი მსაჯთან კამათისთვის გაძევებულია მინდვრიდან.

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

სრულიად უხიფათო სიტუაციაში ქობულეთელთა ერთ-ერთმა მცველმა 30-ე წუთზე ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და ალმასიამ ზუსტად დაარტყა პენალტი. წუთიც არ იყო გასული, რომ ქობულეთელმა მჟავანაძემ თანაფარდობა აღადგინა. მეორე ტაიმში „შუქურა“ საკმაო ხანს ფლობდა ინიციატივას, მაგრამ ზუგდიდელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა მეორე გოლით დამთავრდა.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „კახეთი“ (თელავი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 4:3. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

მატჩის დასასრულს 20 წამი აკლდა, როცა ანგარიში იყო 3:3. ამ პატარა დროში თელაველმა მაისურაძემ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებულია ტყიბულელი თ. ჭელიძე.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„შირაქი“ (წითელი წყარო) — „მევენახე“ (ბოლნისი) 3:1, „შევარდენი“ (თბილისი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 1:4, „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0, „მევენახე“ (ბოლნისი) — „კოლმეურნე“ (ტიბაანი) 5:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) — 4:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „მევენახე“ (ვაზისუბანი) 3:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „შევარდენი“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) 0:4, „ჯერეთი“ (ლაგოდეხი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 0:1.

#### II ზონა

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (ქუთაისი) 4:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:2, „მზიური“ (გალი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:3, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:1, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 2:2, „დიოსკურია“ (სოხუმი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:5, „დიოსკურია“ (სოხუმი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0, „მზიური“ (გალი) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 2:1, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „განახლება“ (ადიგენი) 1:0, „დინამო“ (ქუთაისი) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 0:0, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 5:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:3, „კომეტა“ (ფოთი) — „განთიადი“ (აბაშა) 2:1.

ხელვაჩაურის „კახაბერი“ ორჯერ არ გამოცხადდა კალენდარულ მატჩებზე, რისთვისაც გუნდი მოხსნილია გათამაშებიდან, ხოლო მისი შედეგები გაუქმებულია.

### ზონალური პირველობა

„სოფლტექნიკა“ (თელავი) — „ძველი ანაგა“ (სიღნაღი) 2:1, „ნაფარეული“ (თელავი) — „იორი“ (თიანეთი) 5:1, „ლიახვი“ (გორის რაიონი) — „ავრანლო“ (წალკა) 15:0, „არაგვი“ (მცხეთა) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 2:2, „რაიკავშირი“ (დმანისი) — „აბული“ (ახალქალაქი) 2:2, „მეხალიჩე“ (ცხაკაია) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:1, „ლაშე“ (მახარაძე) — „ყინწვისი“ (ქარელი) 2:2, „ძველი ანაგა“ (სიღნაღი) — „ნაფარეული“ (თელავი) 2:1, „ქისტაური“ (ახმეტა) — „მუკუზანი“ (გურჯაანი) 2:0, „განთიადი“ (მარნეული) — „ლიახვი“ (გორის რაიონი) 1:0, „ყინწვისი“ (ქარელი) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 4:1, „მეხალიჩე“ (ცხაკაია) — „ლაშე“ (მახარაძე) 5:0, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ავტომობილისტი“ (სამტრედია) 1:0.

ბოგდანოვკის „ფარვანას“ გამარჯვება ჩაეთვალა დმანისის „რაიკავშირთან“, ხოლო წალკის „ავრანლოს“ — მცხეთის „არაგვთან“.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 24 | 15 | 7 | 2 | 42—12 | 37 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 23 | 14 | 7 | 2 | 38—23 | 35 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 23 | 13 | 7 | 3 | 42—18 | 33 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 25 | 12 | 6 | 7 | 36—33 | 30 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 23 | 11 | 7 | 5 | 41—25 | 29 |
| „სულორი“ (ვანი) | 23 | 11 | 6 | 6 | 24—15 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 24 | 9 | 7 | 8 | 42—30 | 25 |
| „კახეთი“ (თელავი) | 22 | 10 | 4 | 8 | 30—27 | 24 |
| „სამცხე“ (აწყური) | 24 | 9 | 5 | 10 | 42—41 | 23 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 23 | 9 | 5 | 9 | 21—25 | 23 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 24 | 9 | 4 | 11 | 28—38 | 22 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 24 | 9 | 4 | 11 | 26—37 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 23 | 7 | 7 | 9 | 30—33 | 21 |
| „ისანი“ (თბილისი) | 22 | 7 | 6 | 9 | 26—28 | 20 |
| „ივერია“ (ხაშური) | 24 | 8 | 4 | 12 | 20—38 | 20 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 24 | 6 | 7 | 11 | 16—26 | 19 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 24 | 8 | 2 | 14 | 40—43 | 18 |
| პსკ (თბილისი) | 18 | 6 | 5 | 7 | 23—20 | 17 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 22 | 5 | 5 | 12 | 15—27 | 15 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 23 | 2 | 8 | 13 | 28—42 | 12 |
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 22 | 3 | 5 | 14 | 9—38 | 11 |

მატჩი საქართველოს თასზე

თბილისის სპორტულ ვაზაკზე

ფეხბურთი. „ისნის“ სტადიონი. 27 ივლისი. საქართველოს თასი. „ისანი“ (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია). დასაწყისი 18 ს.

# მწვრთნელი კმაყოფილია

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ი. გაგარინის პრიზზე. პირველ ტურში სამი შეხვედრა გაიმართა: ჩეხოსლოვაკია — ფინეთი 84:65 (41:34), აშშ — საქართველო 81:67 (41:42) და სსრ კავშირი (ოლიმპიური) — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 109:65 (49:31).



საქართველოსა და აშშ-ს კალათბურთელთა მატჩის შემდეგ სტუმრების მწვრთნელი ერთობ კმაყოფილი ჩანდა. „გულწრფელად უნდა ვთქვა, არ მოველოდი ასეთ ლამაზ და შინაარსიან ბრძოლას. საქართველოს გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი ზუსტად ამერიკულ სტილში თამაშობს. სიტუაციები იმდენად ნაცნობი იყო, რომ ზოგჯერ თავი შინ მეგონა“.

ამერიკელ მწვრთნელს ალბათ მხედველობაში ჰქონდა პირველი ტაიმი, რომელმაც მართლაც საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა. ჩვენ გამუდმებით ვუტევდით, სტუმრები კი თავს იცავდნენ, მაგრამ, როგორც კი მოიხელთებდნენ დროს, მწვავე კონტრშეტევებს ავითარებდნენ. სროლის სიზუსტეს ვერც ერთი მხარე ვერ დაემდურება, სიმაღლეც მეტოქეებს დაახლოებით თანაბარი ჰქონდათ, ამიტომაც ყოველი ქულა უშუალოდ ბრძოლის შედეგი იყო და არა რომელიმე გუნდის ფიზიკური უპირატესობის მიზეზი.

შესვენებამდე შეტევის მთელი სიმძიმე ორ კალათბურთელს დააწვა: საქართველოს გუნდში — ლ. ჩხიკვაძეს, სტუმრებთან — ს. ინგლიშს. ისინი სხვებზე ეფექტურად ამთავრებდნენ კომბინაციებს, რომლებშიც ხშირად მთელი გუნდი მონაწილეობდა. მაგრამ ჩხიკვაძე უფრო მეტად თავის რეაქტიულ სისწრაფეს ეყრდნობოდა, ინგლიში კი საშუალო და გრძელი მანძილებიდან სნაიპერულ სროლას.

როგორც მატჩის მსვლელობამ ცხადყო, ამერიკელის მეთოდი უფრო საიმედო და ეფექტური გამოდგა. იმიტომ, რომ იგი მთლიანად შემსრულებლის მაღალ ოსტატობაზე იყო დაფუძნებული, იმ დროს, როცა ჩხიკვაძე ვალაცას დროზე უნდა შეემჩნია, ზუსტად გადაეცა ბურთი და ამით მისი სისწრაფისთვის გარკვეული საკვები მიეცა. პირველ ტაიმში ყველაფერი რიგზე იყო და ჩხიკვაძეც ენერგიულად მიიწევდა მეტოქის კალათისკენ. შესვენების შემდეგ კი მას ერთი ორჯერ გადაცემა დააგვიანეს, ერთი ორჯერ ხელოვნურად გამოსთიშეს თამაშიდან და დაირღვა მანამდე მიღწეული ჰარმონია შემტევსა და დანარჩენ პარტნიორებს შორის. ინგლიში კი განაგრძობდა ეფექტურ სროლას თავისი საყვარელი პოზიციებიდან და დაუბრკოლებლად ზრდიდა ანგარიშს. მალე მას მხარში ამოუდგა გ. კლიუსიც — ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე (205 სმ) ამერიკელთა გუნდში.



მეორე ტაიმი, განსაკუთრებით მისი პირველი წუთები, საქართველოს კალათბურთელებმა უფერულად ჩაატარეს. აი, სწორედ ამ დროს მიაღწიეს ამერიკელებმა უპირატესობას, რომელიც შემდგომში 14-ქულიან სხვაობად გადაიქცა.



სტუმრების მწვრთნელის უფლებაა კმაყოფილი იყოს მეტოქის თამაშით, ჩვენ კი ჩვენი გუნდისგან უთუოდ მეტს მოველოდით, განსაკუთრებით ბრწყინვალედ ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ.

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრები გუნდების მატჩი. საქმე ისაა, რომ ოლიმპიური თამაშების წინ მეტოქეებს კონკრეტული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი. ჩეხოსლოვაკიის გუნდი მიუნხენის სტარტებისთვის ემზადება და, ცხადია, ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ფინელებმა ჯერ უნდა მოიპოვონ ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება. ამიტომაც ისინი ორმაგი პრობლემის წინაშე დგანან. გუშინწინდელი შეხვედრის შედეგით უფრო კმაყოფილი ჩეხოსლოვაკიელები არიან, რომლებმაც ყაიზრებულად ითამაშეს. თუმცა არც ფინელებს უნდა ჰქონდეთ ბოლომდე გადაწურული იმედი.

გამარჯვებულ გუნდში, როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს წამყვანმა მოთამაშეებმა ე. ზედნიჩეკმა (16 ქულა) და ე. რუჟიჩკამ (14). ფინელთაგან თავი გამოიჩინეს კ. სარკალოჰტიმ (20) და კ. ლიიმომ (14).

სსრ კავშირის ოლიმპიური და ახალგაზრდული გუნდების შეხვედრა აშკარად საწვრთნელი ხასიათისა იყო. ოლიმპიური გუნდის მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა ყოველ ტაიმში თითო შემადგენლობა გამოსცადა და კმაყოფილი წავიდა სპორტის სასახლიდან, ვინაიდან ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა (ჩვენი თანამემამულეები ზ. საკანდელიძე და მ. ქორქია მეორე ტაიმში გამოვიდნენ მოედანზე). ოლიმპიური გუნდი ამ ტურნირში საბოლოო სახეს მიიღებს, რომელიც მიუნხენამდე აღარ შეიცვლება. სწორედ ეს განაპირობებს ნაკრების კანდიდატთა ეფექტურ და თავგამოდებულ თამაშს, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა თბილისელი მაყურებელი.

ნ. გუგუშვილი.

• • •

სურათებზე (ზემოდან): ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი; სსრ კავშირის ოლიმპიური და ახალგაზრდული გუნდების მატჩის ფრაგმენტი; ლ. ჩხიკვაძის ეფექტური შეტევა ამერიკელთა კალათზე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

### II ჯგუფი

#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 16 | 12 | 2 | 2 | 24—6 | 26 |
| „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) | 15 | 12 | 0 | 3 | 44—8 | 24 |
| „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რა | 15 | 11 | 1 | 3 | 38—13 | 23 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 15 | 8 | 4 | 3 | 24—15 | 20 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 16 | 7 | 5 | 4 | 20—20 | 19 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 16 | 6 | 5 | 5 | 26—34 | 17 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 16 | 6 | 4 | 6 | 27—26 | 16 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 14 | 7 | 1 | 6 | 22—16 | 15 |
| „ჯერეთი“ (ლაგოდეხი) | 15 | 6 | 2 | 7 | 26—22 | 14 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 15 | 5 | 4 | 6 | 17—20 | 14 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 14 | 5 | 3 | 6 | 23—22 | 13 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 16 | 4 | 3 | 9 | 16—26 | 11 |
| „კოლმეურნე“ (ტიბაანი) | 15 | 4 | 3 | 8 | 20—31 | 11 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 14 | 3 | 3 | 8 | 11—23 | 9 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 11 | 3 | 2 | 6 | 6—14 | 8 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 13 | 3 | 0 | 10 | 10—28 | 6 |
| „გარისი“ (თეთრი წყარო) | 15 | 3 | 0 | 12 | 15—45 | 6 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 15 | 9 | 4 | 1 | 28—10 | 24 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 16 | 11 | 1 | 4 | 32—10 | 23 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 16 | 7 | 7 | 2 | 28—14 | 21 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 16 | 8 | 3 | 5 | 29—19 | 19 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 15 | 9 | 1 | 5 | 27—19 | 19 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 16 | 7 | 4 | 5 | 27—20 | 18 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 16 | 7 | 4 | 5 | 21—16 | 18 |
| „კომეტა“ (ფოთი) | 16 | 6 | 5 | 5 | 19—17 | 17 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 15 | 6 | 5 | 4 | 22—22 | 17 |
| „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) | 16 | 5 | 5 | 6 | 30—21 | 15 |
| „დიოსკურია“ (სოხუმი) | 16 | 6 | 2 | 8 | 26—25 | 14 |
| ხდკ (სამტრედია) | 14 | 4 | 4 | 6 | 20—33 | 12 |
| „მზიური“ (გალი) | 16 | 4 | 3 | 9 | 13—28 | 11 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 16 | 4 | 2 | 10 | 16—28 | 10 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 16 | 4 | 2 | 10 | 13—27 | 10 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 15 | 0 | 2 | 13 | 9—51 | 2 |

## ოლიმპიური მატიანე

# ისევ მსოფლიო გამოფენის ჩრდილქვეშ

პარიზის ოლიმპიადის მწარე გაკვეთილმა უნაყოფოდ ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელებს არც კი გახსენებიათ ის უსიამოვნო დამთხვევა, მსოფლიო გამოფენასა და ოლიმპიადას შორის პარიზში რომ მოხდა, და III ოლიმპიური თამაშებიც (1904 წ. სენტ-ლუისი, 1 ივლისი-29 ოქტომბერი), თითქოს განგებ, გამოფენის ჩრდილქვეშ მოაქციეს. თუმცა ამაში სპორტის მოღვაწეებზე მეტი ბრალი ხელისუფლებას მიუძღოდა, კერძოდ კი აშშ-ს იმდროინდელ პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს, რომელმაც თამაშები გამოფენის თავისეულ რეკლამად აქცია. პრეზიდენტს სპორტისა არაფერი გაეგებოდა, ბიზნესის საკითხებში კი კარგად იყო გათვითცნობიერებული და საქმიანი კაცის ალღოთი მიხვდა, რომ გამოფენის საერთო წარმატებას ოლიმპიადაც ხელს შეუწყობდა. რუზველტმა კანდიდატურათა შერჩევისას კატეგორიული უარი თქვა ჩიკაგოზე და უყოყმანოდ მისცა ხმა სენტ-ლუისს.

გამოფენამ, ისევე როგორც პარიზში, ხელი შეუშალა თამაშების ნორმალურ მსვლელობას. ჯერ ერთი, მან გადაიბირა მაყურებლები და დიდი ფინანსური ზარალი მიაყენა საორგანიზაციო კომიტეტს, ისედაც დაცარიელებულ სალაროს. მაგრამ გამოფენის დამღუპველი მეზობლობა მარტო ამით როდი ამოიწურა. ზომაზე ცუდად გაპიანურებულმა შეჯიბრებებმა მაყურებლებში დეზინფორმაცია გამოიწვია, მსაჯთა აპარატის მუშაობაში კი არნახული ქაოსი.

ოლიმპიადის ჩატარებას ამერიკის კონტინენტზე სხვა ნაკლიც ჰქონდა, რასაც სოკ-ის ხელმძღვანელობამ დროით არ მიაქცია ყურადღება, მერე კი სანანებლად დაუჯდა. საქმე ისაა, რომ XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს სპორტულ მაჯისცემას ტონს „ძველი სამყარო“ აძლევდა. ტერიტორიულმა სიშორემ და მასთან დაკავშირებულმა სამგზავრო ხარჯებმა ევროპის ბევრ ქვეყანას ხელი აალებინა განზრახვაზე — მონაწილეობა მიეღო თამაშებში: ათობით ოლიმპიური ჩემპიონი, რეკორდსმენი და პრიზიორი



შინ დარჩა იმის გამო, რომ მის ქვეყანას არ ჰქონდა სახსრები დედამიწის გარშემო მოგზაურობისთვის.

სენტ-ლუისის ოლიმპიადაში სულ ხუთასამდე სპორტსმენი გამოვიდა, აქედან 425 ამერიკელი იყო და 71 უცხოელი (ისინი 16 ქვეყნის ინტერესებს გამოხატავდნენ). ცხადია, მონაწილეთა ასეთმა დისპროპორციამ ოლიმპიადას საყოველთაო ხასიათი დაუკარგა და შეუძლებელი გახადა სამყაროს სპორტული ძლიერების ზუსტი სურათის დადგენა. ტყუილად როდი უწოდეს სენტ-ლუისის თამაშებს შეერთებული შტატების ოლიმპიადა.

სპორტული თვალსაზრისით ოლიმპიადის უდავო ფავორიტები მძლეოსნები იყვნენ, რომლებმაც ოლიმპიური რეკორდების ცხრილში 15 შესწორება შეიტანეს (ექვსი შედეგი, ამავე დროს, მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა იყო).

მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარეს ძალოსნებმაც. სენტ-ლუისის თამაშებმა დიდ ასპარეზზე გაუხსნა გზა ამერიკელ ზანგებს. პირველი შავკანიანი, რომელმაც შეერთებული შტატების სახელი დაიცვა ოლიმპიადებში, მძლეოსანი ჯორჯ პოეჯია. ნიჭიერი სპორტსმენის ორმა ბრინჯაოს მედალმა თავისებური სტიმული მისცა ფერადკანიან ამერიკელთა შემდგომ ოლიმპიურ წარმატებებს.

ვინ იყო ყველაზე პოპულარული სპორტსმენი სენტ-ლუისში? სპეციალისტები ერთბაშად ოთხ ამერიკელ მძლეოსანს ასახელებენ: რეი იურის, არჩი ჰანსს, ჯეიმს ლაითბოდსა და გერდ ჰილმენს. თითოეული მათგანი სამჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მაგრამ ამ კვარტეტსაც ჰყავს თავისი ფავორიტი, ღირსეულთა შორის ღირსეული. ესაა რეი იური, რომელმაც პარიზის ოლიმპიადის სამ ოქროს მედალს სენტ-ლუისის ჯილდოებიც დაუმატა და მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში „კაუჩუკის ადამიანის“ სახელით შევიდა.

ოლიმპიადებში, როგორც წესი, ხშირია სპორტული კურიოზები. ეს განსაკუთრებით საგრძნობი იყო პირველ ხანებში, ვინაიდან ორგანიზატორებსა და მსაჯებს არ ჰყოფნიდათ დიდი შეჯიბრებების ჩატარების გამოცდილება. ერთმა ასეთმა კურიოზმა კინაღამ შეიწირა სენტ-ლუისის თამაშების ავტორიტეტი. უჩვეულო ამბავი მარათონული რბენის დროს მოხდა. ამერიკელმა ფრედ ლორცმა მე-15 კილომეტრზე შეუძლოდ იგრძნო თავი და ღონემიხდილმა სთხოვა ქალაქისკენ მიმავალ უცხო მანქანას. ფინიშის მისადგომებთან მანქანა, რომელმაც ლორცი შეიფარა, გაფუჭდა და სპორტსმენიც იძულებული გახდა სირბილით გაეყოლოდა გასახდელისკენ მიმავალ გზას. მარათონელს გულში ბოროტი განზრახვა არ ედო, მაგრამ სტადიონის ტერიტორიაზე შესული სპორტსმენი მაყურებლებმა ლიდერად მიიჩნიეს და აღფრთოვანებული შეხვედრა გაუმართეს. ლორცი თავდაპირველად დაიბნა, თავს უხერხულად აქნევდა, მაგრამ საერთო ღრიანცელში მის განმარტებას ყური არავინ ათხოვა, მერე კი, როცა პრეზიდენტის ქალიშვილმა ალისა რუზველტმა „გამარჯვებისთვის“ სპეციალური ჯილდოც გადასცა, ცრუ ჩემპიონმა შეიშნო როლი.

15 წუთის შემდეგ სტადიონის შესასვლელს ნამდვილი გამარჯვებული მიადგა. ეს იყო ლორცის თანამემამულე თომას ჰიქსი. მაგრამ წინა მარათონელის ტრიუმფით მოჯადოებულ მაყურებელს მისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. შეცდომა მხოლოდ მეორე დღეს გამოაშკარავდა. განრისხებულმა მსაჯთა კოლეგიამ ლორცს ყველა პრიზი ჩამოართვა და სამუდამოდ აუკრძალა შეჯიბრებებში გამოსვლა.

• • •

სურათებზე: სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები რ. იური (ზევით) და ა. ჰანსი.



# რ. მანგი: „გამარჯვებისთვის საჭიროა 650 კილოგრამი!“

**მათი კურსი — ოლიმპიადა**

დასავლეთგერმანელი სპორტსმენები, რომელთა სამშობლოში აგვისტოს მიწურულს სტარტს აიღებს XX საზაფხულო ოლიმპიადა, მონდომებით ემზადებიან შეჯიბრებებისთვის. ოლიმპიადის მასპინძელთა ერთ-ერთი იმედია ზემძიმე წონის ძალოსანი რუდოლფ მანგი. მას მიიჩნევენ საბჭოთა სპორტსმენის ვ. ალექსეევის ყველაზე სერიოზულ მეტოქედ.

— ამჟამად, — უთხრა მანგმა საკდესის კორესპონდენტს, — გულმოდგინედ ვემზადები ოლიმპიური შეჯიბრებისთვის. უწინ დღეგამოშვებით ვვარჯიშობდი, თანაც ზოგჯერ ძალოსნობას სირბილითა და ცურვით ვცვლიდი. ახლა კი, მიუნხენის ტურნირამდე დარჩენილ დღეებში, ყოველდღე ვვარჯიშობ, ისიც მხოლოდ ძალოსნობაში. წვრთნა 4-5 საათს გრძელდება. ამ ხნის მანძილზე ოცდაათ ტონამდე ტვირთს ვწევ.

— ამასთან დაკავშირებით, — ელიმება მანგს, — ნაკლებ დროსაც კი ვუთმობ ჩემს „ჰობის“ — შინაურ თევზებს. სულ რვა აკვარიუმი მაქვს შინ.

— მომავალ ოლიმპიურ თამაშებში, — განაგრძობს მანგი, — ზემძიმე წონაში გამარჯვებისთვის ალბათ საკმარისი იქნება 650 კილოგრამი. თუმცა, წინაოლიმპიური შედეგები შეიძლება უფრო მაღალიც იყოს, მაგალითად 660 კგ. ოლიმპიადის დროს სპორტსმენები განსაკუთრებულ მღელვარებას განიცდიან, და ეს, როგორც წესი, შედეგებზე გავლენას ახდენს. მიუნხენის ოლიმპიურ ფიცარნაგზე ვილცნებობ სამჭიდში 650-655 კილოგრამი დავაგროვო.

მომავალში, ასე, ხუთი წლის შემდეგ, ჩემს წონით კატეგორიაში გამარჯვებისთვის საჭირო გახდება, ალბათ 670-680 კგ, ათი წლის შემდეგ კი დაახლოებით 700 კგ.

— მსოფლიო რეკორდსმენი ალექსეევი, — თქვა ბოლოს მანგმა, — მხიარული და ხალისიანი ადამიანია. რაც მთავარია, იგი გამოჩენილი სპორტსმენია. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი მეტოქეობა ოლიმპიურ ფიცარნაგზე სიამოვნებას მოჰგვრის ძალოსნობის მოყვარულებს მთელს მსოფლიოში.

(საკდესის კორ.).

ბონი.

# ტრამპლინიდან და კოშკიდან

ლვოვი, 26 ივლისი. წყალში ხტომაში საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს ოქროს მედლები მოსკოვის სპარტაკელებმა ვ. ვასინმა და ნ. კუზნეცოვამ მოიპოვეს. ვასინმა ყველას აჯობა ტრამპლინიდან ხტომაში — 527,34 ქულა. მან მწვავე ბრძოლაში სძლია თანაქალაქელ ვ. სტრახოვს (ცსკა), რომელმაც 520,32 ქულა დააგროვა. თუმცა ფინალში ამჟღელი სპორტსმენი შესანიშნავად ხტებოდა, მას წინასწარი შეჯიბრების ჯამში ნაკლები მარაგი აღმოაჩნდა.

ბრინჯაოს მედალი ვოლგოგრადელ ვ. კაპირულინს ერგო — 515,70.

კოშკიდან ხტომაში შესანიშნავი ტექნიკა გამოავლინა კუზნეცოვამ. ურთულესი ხტომისთვის მან ძალიან მაღალი შეფასება (63,99) დაიმსახურა, საბოლოოდ კი 366,69 ქულა დაუგროვდა. ჩემპიონს ეცილებოდა ლვოველი ტ. შტირიოვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი ვერცხლის მედალს დასჯერდა — 348,75.

III ადგილზეა ვოლგოგრადელი ა. სელინა — 341,97.

# მძლეოსნურ ბილიკებზე

ჰელსინკი, 26 ივლისი. 23 წლის ლ. ვირენმა ფინეთისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა მატჩში ადგილობრივ ოლიმპიურ სტადიონზე 5000 მეტრზე რბენაში 13.19,0 აჩვენა. ეს მესამე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში, მეორე წლევულ მსოფლიოში და, ამავე დროს, სკანდინავიის ქვეყნების რეკორდიც არის. ფინეთის რეკორდი ვირენმა 10,8 წამით გააუმჯობესა.

მასპინძლები გამოირჩეოდნენ 100 მეტრზე რბენაში (რ. მილენი — 10,1) და $4 \times 100$ მეტრზე ესტაფეტაშიც (39,6 — ქვეყნის რეკორდი).

სტუმრებიდან პირველობდნენ ევროპის ჩემპიონი დ. ჯენკინსი (400 მეტრზე — 45,4), ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი დ. ჰემერი (400 მეტრზე თარჯრბენში — 49,3. მეორე იყო ა. სალინი, რომელმაც ფინეთის რეკორდი დაამყარა — 49,5). ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ლ. დევისმა ისევ ვერ შეასრულა საერთაშორისო მძლეოსნური ფედერაციის ოლიმპიური ნორმატივი (780 სმ) სიგრძეზე ხტომაში. იგი მხოლოდ 761 სმ-ზე გადახტა (გაიმარჯვა ა. ვაანანენმა — 778 სმ).

ლიდერობენ ფინეთის სპორტსმენები — 61:45.

• • •

პრაღა, 26 ივლისი. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში 183 სმ-ზე და უფრო მაღლა გადებული თამასა ხუთმა სპორტსმენმა ქალმა გადალახა. ქვეყნის რეკორდით (186 სმ) გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. ჰიუბნეროვამ, რომელმაც შესანიშნავ სპორტულ ფორმას მიაღწია. 183 სმ გადალახეს ა. პროსკოვამ, მ. კაბრანოვამ, მ. მრაზეკოვამ და მ. ზრადაჩოვამ.

ე. ფიბინგეროვამ ჩეხოსლოვაკიის რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში — 18,76 მ. ე. შურანოვა 658 სმ სიგრძეზე გადახტა.

სამხტომში ჩეხოსლოვაკიის რეკორდით გაიმარჯვა ჟ. ფიშერმა — 16,62 მ. ი. პლახიმ 800 მეტრზე 1.47,1 აჩვენა. ი. ალექსა 218 სმ სიმაღლეზე გადახტა.

## [illegible]

უკვე ვიტყობინებოდით, რომ ლუქსემბურგში გამართულ ევროპის მშვილდოსანთა ჩემპიონატში სსრ კავშირის ქალთა გუნდმა პირველობა მოიპოვა, ხოლო პირად შეჯიბრებაში ქუთაისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ქეთევან ლოსაბერიძემ აბსოლუტური ჩემპიონობა დაისაკუთრა. დაწვრილებით ზოგიერთი სხვა შედეგიც, მაგრამ, ვინაიდან მაშინ ყველა ცნობა

## [illegible]

ტურინი, 26 ივლისი. იტალიელმა ნოველა კალიგარისმა 2.4 წამით გააუმჯობესა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თავისივე ევროპული რეკორდი: აქ ეს მანძილი 4 წუთსა და 26,7 წამში დაფარა. ძველი რეკორდი მან ამ ოცი დღის წინ დაამყარა.

# რაც არ ვიცოდით...

ხელთ არ გვქონდა, ახლა ისევ ვუბრუნდებით ლუქსემბურგის ასპარეზობას.

ჩემპიონატი დაბა ვალფერდანჟში გამართულა. ამინდი სტარტამდე კარგი ყოფილა, ასპარეზობის დღეს კი იმდენად გაფუჭებულა, რომ მონაწილეებს ორის მაგიერ მხოლოდ ერთ — ყველაზე გრძელ (ქალებისთვის 70 მ, ვაჟებისთვის 90 მ) დისტანციაზე ძლივს მოუსწრიათ სროლა.

ფავორიტები ყველა შეჯიბრებას ჰყავს. ამ ტურნირში ქალთა შორის ფავორიტად მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი ე. გაპჩენკო მიაჩნდათ, ვაჟებში — დანიელი ა. იაკობსონი და კიეველი ვ. სიდორუკი. ამიტომ სწორედ ეს სპორტსმენები იქნენ სხვებისთვის ორიენტირად. მაგრამ პირველი ექვსი ისრის ტყორცნის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: ვაჟთა შორის შვედი გ. იარვილი დაწინაურდა, ქალებში — ლოსაბერიძე, ორივეს 60-დან 53-53 ქულა დაუგროვდა.

ვარაუდობდნენ, რომ ეს სპორტსმენები ლიდერობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდნენ. მით უმეტეს, ქეთევანის იმედი არ ჰქონდათ, რადგან ლოსაბერიძისთვის ეს ტურნირი ყველაზე დიდი საერთაშორისო ასპარეზობა იყო და ეგონათ, სტარტზე წარმატება თავბრუს დაახვევსო.

მოლოდინი არ გამართლდა. ქეთევანმა მთელი ტურნირი დინჯად, აუჩქარებლად ჩაატარა. 70 მეტრზე სროლაში მან 305 ქულა მოაგროვა და ევროპის რეკორდი დაამყარა (მეორე შედეგი ჰქონდა პოლონელ ბ. ბელას — 287). ქუთაისელს 24 ქულით ჩამორჩა ლენინგრადელი ა. პეუნოვა, 21 ქულით — ა. ბერგლუნდი (შვეცია). ეს უკვე ბევრს ნიშნავდა. 60 მეტრზე სროლაში ლოსაბერიძემ და პეუნოვამ ერთნაირ შედეგს (304 ქულა) მიაღწიეს, ბერგლუნდმა 301 ქულა დააგროვა.

ლოსაბერიძემ შედარებით ცუდად ისროლა 50 მეტრზე (274 ქულა) და პეუნოვა (282) მას ახლა უკვე 6 ქულით ჩამორჩებოდა. ბერგლუნდმა საერთო მდგომარეობა 4 ქულით გამოასწორა.

ბოლო დისტანციაზე — 30 მეტრზე სროლაში ბერგლუნდმა 326 ქულა მოაგროვა (ბრძოლა იტალიელმა ნ. ჩიატელიმ მოიგო — 326), რამაც მას „მ-1“ ვარჯიშის ჯამში 1189 ქულით ბრინჯაოს მედალი მოუპოვა. ლოსაბერიძემ და პეუნოვამ ისევ ერთნაირი შედეგი (324 ქულა) აჩვენეს.

ამრიგად, ოთხი დისტანციის ჯამში ქეთევანს 1207 ქულა დაუგროვდა, პეუნოვას კი 1201. მათ შესაბამისად დიდი ოქროსა და ვერცხლის მედლები მიიღეს. IV ადგილზეა გაპჩენკო — 1176, V — ე. ველენდე (სსრ კავშირი) — 1160.

სსრ კავშირის ქალთა ტრიომ 3584 ქულა მოაგროვა, რაც სსრ კავშირის გუნდისავე ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე 124 ქულით უკეთესია. პოლონელებმა 3475 ქულით II ადგილი დაიკავეს. III ადგილზე არიან შვედები — 3419.

ვაჟთა ტექნიკური შედეგები ოთხი დისტანციის ჯამში: გ. იარვილი (შვეცია) — 1236, ა. იაკობსონი (დანია) — 1233, ო. ლაურილა (ფინეთი) — 1221... 6. მ. პეუნოვი — 1213... 9. ვ. სიდორუკი — 1203... 33. ა. აულოვი — 1150... 47. ა. პანჟინი (ყველა — სსრ კავშირი) — 1126.

ცალკეულ დისტანციებზე ჩემპიონები გახდნენ: 90 მ. იარვილი — 286, 70 მ. დ. დუაენი (საფრანგეთი) — 307, 50 მ. პეუნოვი — 313, 30 მ. ო. ბიოსტრემი (შვეცია) — 347.

გუნდური: შვეცია — 3644 (მსოფლიო რეკორდი), ფინეთი — 3619, შვეიცარია — 3580, სსრ კავშირი — 3566.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02610